დაბა მესტია.
მაია ფილფანის ფოტო

2022 წელი, №8 * მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო გამოცემა

საახალწლო ღონისძიებები მესტიაში

24 დეკემბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით და მთავრობის ორგანიზებით მესტიაში წინასაახალწლო ზეიმი გაიმართა.

ღონისძიების ფარგლებში, სეტის მოედანზე მოეწყო საშობაო ბაზრობა, საბავშვო გასართობი სივრცეები, ფოტოგადასაღები სტენდები და ინსტალაციები. განთავსდა ხის საახალწლო სახლები, სადაც ყველა სტუმარს შეეძლო დაეგემოვნა ცხელი სასმელი და როგორც სვანური ასევე ქართული კერძები.

გაიმართა სხვადასხვა გასართობი აქტივობები, რომელიც ყველა თაობის ადამიანისთვის იყო გათვლილი.

დამდეგი ახალი წელი პატარებს თოვლის ბაბუამ ლამაზი სურვილებით მიულოცა და საჩუქრებით გაახარა.

საღამოს საკონცერტო ნაწილი დაეთმო ადგილობრივ ფოლკლორულ ანსამბლ ,,რიჰო"-ს. წინასაახალწლო ღონისძიება ანსამბლ „ბანი“-ს და ჯგუფი „რეზო და ბავშვების“ გალა კონცერტით და გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

31 დეკემბერს, სეტის მოედანზე საახალწლო საზეიმო ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებას ტრადიციულად გახსნა მესტიის მუნიციპალიტეტის ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,რიჰო„-მ. მაყურებლის წინაშე ასევე წარსდგნენ მესტიის სალოტბარო სკოლა და ადგილობრივი მუსიკალური ჯგუფი "ტემპი".

პატარებს საახალწლო ტკბილეულით თოვლის ბაბუა გაუმასპინძლდა.

ღონისძიების დასკვნითი ნაწილი მოწვეულ მომღერლებს დაეთმოთ. მაყურებლის განწყობაზე ზრუნავდნენ ბენდი „ბალაბანი“ და ინდივიდდუალური შემსრულებელი გიორგი კობაიძე.

საახალწლო ღონისძიება გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა!

მესტია "Best Tourism Villages by UNWTO"-ს გამარჯვებულია!

გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის პროექტის „Best Tourism Villages by UNWTO“ -ის ერთ-ერთი გამარჯვებული მესტიაა. აღსანიშნავია, რომ მესტია შერჩეულ იქნა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის წევრი 57 ქვეყნის 130-ზე მეტი დანიშნულების ადგილის აპლიკაციას შორის, რაც უდიდეს მიღწევას წარმოადგენს.

მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სოციალური დახმარების პროგრამა

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებით დამტკიცდა მესტიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი, რომელიც განსაზღვრავს მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობისთვის, მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადი სოციალური დახმარების გაცემის პირობებს, პროცედურებს, მიმღებთა (ბენეფიციართა) კატეგორიებს, მათ მიერ მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში დახმარების მიღების მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

სოციალური დახმარების პროგრამის მიზანს წარმოადგენს პროგრამაში მონაწილე მიზნობრივი ჯგუფების სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშეწყობა-გაუმჯობესება, მათი ნახალისება, მატერიალური და მორალური მხარდაჭერა.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროგრამა მოიცავს 5 ძირითად პროგრამას და 24 ქვეპროგრამას. პროგრამები ითვალიწინებს მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის როგორც ფულად დახმარებას, ასევე სერვისის მიწოდებას.

► სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა:

მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა მოიცავს 13 ქვეპროგრამას:

1. მარჩენალდაკარგული ოჯახების (0-დან 18 წლის ასაკამდე) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება;

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება;

3. სოციალურად დაუცველის, შშმ. ან იძულებით გადაადგილებული – დევნილის სტატუსის მქონე მარტოხელა ხანდაზმულების (საპენსიო ასაკის მქონე) სოციალური დაცვა;

4. ხანდაზმულების (90 წელი და ზემოთ) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება;

5. ომის მონაწილე ვეტერანების და ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება;

6. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერნების, „ვეტერანების დღის“ (17 ოქტომბერი) აღსანიშნავად – საჩუქრის სახით, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება;

7. გარდაცვლილ დევნილთა და ვეტერანთა ოჯახებზე სარიტუალო მომსახურებისთვის, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება;

8. ახალშობილებზე ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება;

9. მრავალშვილიან (არასრულწლოვანი ხუთი შვილი და ზემოთ) ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება;

10. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება;

11. ონკოლოგიური ავადმყოფების და ფსიქიკურად დაავადებული პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება;

12. დიალიზით მოსარგებლე პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება;

13. ცერებრალური დამბლით დაავადებული პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარება.

მოსახლეობის ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ოდენობა სოციალური პროგრამების ფარგლებში შეადგენს:

ა) მარჩენალდაკარგულ ოჯახზე ერთჯერადი დახმარების ოდენობა–300 (სამასი) ლარი;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვზე ერთჯერადი დახმარების ოდენობა – 100 (ასი) ლარი;

გ) ახალშობილების ერთჯერადი დახმარების ოდენობა – პირველ ბავშვი-150 (ას ორმოცდაათი) ლარი, მეორე ბავშვი-200 (ორასი) ლარი, ყოველ მომდევნო ბავშვის დაბადებისას აღნიშნულ თანხას დაემატება 100 (ასი) ლარი;

დ) მრავალშვილიან ოჯახებზე, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი, ხუთი და მეტი შვილი ერთჯერადი დახმარების ოდენობა – თითოეულ ბავშვზე 100 (ასი) ლარი;

ე) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე (I ჯგუფი) ერთჯერადი დახმარების ოდენობა –100 (ასი) ლარი;

ვ) სოციალურად დაუცველის, შშმ. ან იძულებით გადაადგილებული – დევნილის სტატუსის მქონე მარტოხელა ხანდაზმულების (საპენსიო ასაკის მქონე) ერთჯერადი დახმარების ოდენობა -500 (ხუთასი) ლარი;

ზ) ხანდაზმულ პირებზე (90 წლის, 90 წელს გადაცილებული) ერთჯერადი დახმარების ოდენობა –300 (სამასი) ლარი;

თ) ომის მონაწილე ვეტერანებსა და ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებზე ერთჯერადი დახმარების ოდენობა – 50 (ორმოცდაათი) ლარი;

ი) მეორე მსოფლიო ომის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სამშვიდობო მისიების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე „ვეტერანების დღის“ (17 ოქტომბერს) აღსანიშნავად საჩუქრის სახით ერთჯერადი დახმარების ოდენობა – 500 (ხუთასი) ლარი;

კ) გარდაცვლილ, დევნილთა და ვეტერანთა ოჯახებზე დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება , ერთჯერადი დახმარების ოდენობა– 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი;

ლ) ონკოლოგიურ ავადმყოფებზე და ფსიქიკურად დაავადებულ პირებზე ერთჯერადი დახმარების ოდენობა- 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

მ) დიალიზის პროგრამით მოსარგებლე პირებზე ერთჯერადი დახმარების ოდენობა არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით;

ნ) ცერებრალური დამბლით დაავდებულ პირებზე ერთჯერადი დახმარების ოდენობა -1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

► ჯანდაცვის პროგრამა:

მესტიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანდაცვის პროგრამა მოიცავს 8 ქვეპროგრამას:

1. სოციალურად დაუცველის, შშმ. ან იძულებით გადაადგილებული – დევნილის სტატუსის, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტების ერთჯერადი დაფინანსება/თანადაფინანსება;

2. ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო სერვისების თანადაფინანსება/დაფინანსება;

3. მოსახლეობის, მათ შორის სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფი და ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე ავადმყოფთა ქირურგიული ოპერაციების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) თანადაფინანსება;

4. C ჰეპატიტით დაავადებულთა სამედიცინო კვლევების ერთჯერადი თანადაფინანსება;

5. სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა გეგმური ენდოსკოპიური გამოკვლევის ერთჯერადი თანადაფინანსება;

6. 0-დან 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიათა ადრეული დიაგნოსტიკის მიზნით სამედიცინო კვლევების ერთჯერადი თანადაფინანსება;

7. სხვადასხვა სახის გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა დიაგნოსტიკის, შეფასების და თერაპიების (მ.შ.გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია, სენსორული თერაპია, არტ. თერაპია და სხვა) დაფინანსება/თანადაფინანსება.

8. კოვიდ (COVID-19) გადატანილი პირების (მათ შორის სავარაუდო), კოვიდის შემდგომი სამედიცინო კვლევების დაფინანსება/თანადაფინანსება.

ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში დაფინანსება/თანადაფინანსების ოდენობა შეადგენს:

ა) სოციალურად დაუცველის, შშმ. ან იძულებით გადაადგილებული – დევნილის სტატუსის, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტების ერთჯერადი დაფინანსება/ თანადაფინანსება გათვალისწინებულია შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა N100/ა, ინვოისის- მიხედვით უნაღდო ანგარიშსწორების გზით , დაფინანსების თანხა –არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, წლიური ლიმიტის ფარგლებში;

ბ) მოსახლეობის, მათ შორის სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ და ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე ავადმყოფთა ქირურგიული ოპერაციების ერთჯერადი დაფინანსება გათვალისწინებულია უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესაბამისი დაწესებულების (საავადმყოფო) საბანკო ანგარიშზე, ამ დაწესებულების (საავადმყოფოს) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშფაქტურის შესაბამისად. ანაზღაურდება ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50 % -არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, წლიური ლიმიტის ფარგლებში, რასაც სახელმწიფო პროგრამა არ აფინანსებს. სოციალურად დაუცველის ან ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე პირების შემთხვევაში პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 70%, არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, წლიური ლიმიტის ფარგლებში, რასაც სახელმწიფო პროგრამა არ აფინანსებს;

გ) ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება გათვალისწინებულია ბენეფიციართა ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურების, მათ შორის ქიმიო-თერაპიის, რადიოთერაპიის, მაღალტექნოლოგიური კვლევებისა და სხივური თერაპიით მკურნალობის პროცესში, როდესაც ღირებულება სცილდება ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსების ლიმიტს სოციალური დახმარების განაწილების საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მკურნალობის პროცესში, განმეორებით, ეტაპობრივად დაფინანსების/თანადაფინანსების თაობაზე არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა.

ზემოთ აღნიშნული სამედიცინო პროცედურების დაფინანსება/თანადაფინანსება ვრცელდება ასევე იმ კატეგორიის ონკოლოგიურ ავადმყოფებზეც, რომლებიც სამედიცინო სერვისებს (მათ შორის ქიმიო-თერაპიის, რადიოთერაპიის, მაღალ-ტექნოლოგიური კვლევებისა და სხივური თერაპიით მკურნალობა) მიიღებენ ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

სამედიცინო მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება - უნაღდო ანგარიშსწორების გზით, სამედიცინო (საავადმყოფო) დაწესებულების მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ - ფაქტურების შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე. ხოლო საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით, დაფინანსება/თანადაფინანსება მოხდება ბენეფიციარის პირად საბანკო ანგარიშზე;

დ) სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა გეგმური ენდოსკოპიური გამოკვლევისერთჯერადი დაფინანსება გათვალინინებულია უნაღდო ანგარიშსწორების გზით, შესაბამისი დაწესებულების (შპს,,მესტიის საავადმყოფო ამბულატორიული გაერთიანება) საბანკო ანგარიშზე, ამ დაწესებულების(საავადმყოფო) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად 100 % -ისოდენობით (სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში გეგმური ენდოსკოპიური გამოკვლევები არ ფინანსდება);

ე) C ჰეპატიტით დაავადებულთა სამედიცინო კვლევების ერთჯერადი დაფინანსება გათვალინინებულია უნაღდო ანგარიშსწორების გზით, შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, ამ დანესებულების (საავადმყოფო) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად 70 % -ის ოდენობით (C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პაციენტთა მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 70 %-ს). სოციალურად დაუცველი ოჯახების შემთხვევაში 30%-ის ოდენობით (სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს, თანაგადახდა შეადგენს 30 %-ს);

ვ) 0-დან 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი ბავშვების ფარისებრი ჯირკვლის (პათოლოგიათაადრეული გამოვლენის მიზნით) გამოკვლევების ერთჯერადი თანადაფინანსება გათვალისწინებულია (რომელშიც შედისფარისებრი ჯირკვლის სადიაგნოზო ჰორმონული კვლევებიდან – თირეოტროპული ჰორმონის (TSH),პერიფერიული თავისუფალი თიროქსინის (FT4) და ანტი TPO გამოკვლევა). გამოკვლევების თანადაფინანსება -უნაღდო ანგარიშსწორების გზით, შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, ამდაწესებულების (საავადმყოფო) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ-ფაქტურებისშესაბამისად. თანადაფინანსება განხორციელდება თანხით, რომლის დაფინანსებაც არ ხდება სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში;

ზ) სხვადასხვა სახის გონებრივი და ფიზიკური შეფერხების მქონე ბავშვთა დაფინანსება/თანადაფინანსება გათვალისწინებულია, - მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები 2 -დან 18 წლამდე ასაკის აუტიზმის (ასა) სპექტრის და განვითრების სხვა დარღვევების მქონე ბავშვთა თერაპიის (მ.შ.გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია, სენსორული თერაპია, არტ. თერაპია და სხვა), სხვადსხა სახის გონებრივი და ფიზიკური განვითრების შეფერხების მქონე ბავშვთა თერაპიის და განვითარების სხვადასხვა დარღვევების მქონე ბავშვთა დიაგნოსტიკის დაფინანსება/ თანადაფინასებას წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის შესაბამისად 2000 (ორი ათასი) ლარიანი ლიმიტის ფარგლებში (გადარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის/ინვოისის შესაბამისად;

თ) კოვიდ (COVID-19) გადატანილი პირების (მათ შორის სავარაუდო), კოვიდის შემდგომი სამედიცინო კვლევების დაფინანსება/თანადაფინანსებით გათვალისწინებულია ,მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები კოვიდ (COVID-19) გადატანილი პირების (მათ შორის სავარაუდო) , ექიმის დანიშნულებით ჩასატარებელი კოვიდის შემდგომი სამედიცინო კვლევების დაფინანსება/თანადაფინანსებას. გამოკვლევების დაფინანსება/თანადაფინანსება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, ამ დაწესებულების (საავადმყოფო) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ - ფაქტურების შესაბამისად , თანხით არაუმეტეს 350 (სამას ორმოცდაათი) ლარისა, დაფინანსება/ თანადაფინანსება განხორციელდება თანხით, რომლის დაფინანსებაც არ ხდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში.

► ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა:

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების ოდენობა შეადგენს:

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სასკოლო ასაკის მქონე ბავშვებზე მათ შორის შშმ ბავშვებზე, საკანცელარო ნივთების შესაძენად ერთჯერადი დახმარების გაწევას, თითოეულ ბავშვზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის ექვს წლამდე ასაკის მქონე ბავშვების, მათ შორის შშმ ბავშვების ხელოვნური (სპეციალური) კვების პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსებას, თითოეულ ბავშვზე ერთჯერადად 100 (ასი) ლარის ოდენობით.

►სტიქიით (მათ შორის ხანძრით) დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა:

პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) კატეგორია:

1. ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახები: ერთჯერადი მატერიალური დახმარების

გაწევა- 500ლარიდან 5000 ლარამდე.

I კატეგორია -სახლი მთლიანად (100 %) დაზიანებულია (განადგურებულია) ხანძრის

შედეგად, დახმარებების ოდენობა დამდგარი ზიანის მიხედვით განისაზღვროს არაუმეტეს

5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;

II კატეგორია - სახლის ნახევარი (50 %) დაზიანებულია (განადგურებულია) ხანძრის შედეგად,

დახმარებების ოდენობა დამდგარი ზიანის მიხედვით განისაზღვროს არანაკლებ - 2000 (ორი

ათასი) ლარის, არაუმეტეს 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით;

III კატეგორია - სახლი ან დამხმარე ნაგებობა ნაწილობრივ დაზიანებულია ხანძრის შედეგად,

დახმარებების ოდენობა დამდგარი ზიანის მიხედვით განისაზღვროს არანაკლებ - 500

(ხუთასი) ლარის, არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

2. სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირები:

ერთჯერადი მატერიალური დახმარების - 500 ლარიდან 2000 ლარამდე.

I კატეგორია -სახლი მთლიანად (100 %) დაზიანებულია (განადგურებულია) სტიქიური მოვლენების შედეგად, დახმარებების ოდენობა დამდგარი ზიანის მიხედვით განისაზღვროს არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით;

II კატეგორია - სახლის ნახევარი (50 %) დაზიანებულია (განადგურებულია) სტიქიური მოვლენების შედეგად, დახმარებების ოდენობა დამდგარი ზიანის მიხედვით განისაზღვროს არანაკლებ - 1000 (ათასი) ლარის, არაუმეტეს 1 500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით;

III კატეგორია - სახლი ან დამხმარე ნაგებობა ნაწილობრივ დაზიანებულია სტიქიური მოვლენების შედეგად, დახმარებების ოდენობა დამდგარი ზიანის მიხედვით განისაზღვროს არანაკლებ - 500 (ხუთასი) ლარის, არაუმეტეს 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით.

► მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა:

უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში შესაბამისი კომისია შეისწავლის მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თითოეული უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახის შემადგენლობას, სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობას, უსახლკარობის გამომწვევ მიზეზებსა და გარემოებებს. პირველ ეტაპზე გათვალისწინებული იქნება და უპირატესობა მიენიჭება უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით - სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახი, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და მათი ოჯახის წევრებს, ვეტერანებს, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებს, მათ არასრულწლოვან შვილ(ებ)ს, მრავალშვილიან ოჯახებს და ა.შ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა მიხედვით კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში , მესტიის მუნიციპალიტეტის მერია მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე აუშენებს კოტეჯის ტიპის საცხოვრებელ სახლს. საცხოვრებელი სახლის ფართობი განისაზღვრება სულადობის მიხედვით.

უსახლკარო ოჯახის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის უტყუარობის შესწავლა ხდება, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი კომისიის განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასებით, რის საფუძველზეც მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ „სახელმწიფოს შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელდება უსახლკარო ოჯახებისთვის კოტეჯის ტიპის საცხოვრებელი სახლების პროექტირებისა და მშენებლობის შესყიდვა :

უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქე უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი წესის თანახმად დამტკიცებულ ყველა კრიტერიუმს, მათ შორის, რეგისტრირებული უნდა იყოს მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ამავე ტერიტორიაზე უნდა ფლობდეს მიწის ნაკვეთს (მიწის ნაკვეთი უნდა აკმაყოფილებს სამშენებლო პირობებს).

► სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსების პროგრამა ა(ა)იპ „ერთად რეალური ცვლილებებისათვის„ ადმინისტრირების ქვეშ არსებული „კახა ფალიანის სახელობის სარეაბილიტაციო ცენტრი“ ემსახურება მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს/ზრდასრულს და მარტოხელა ხანდაზმულ პირებს. სარეაბილიტაციო ცენტრში ფუნქციონირებს დღის ცენტრის, აბილიტაცია/რეაბილიტაციის, შინმოვლისა და ადრეული განვითარების პროგრამები.

დღის ცენტრი - 6-დან 18 წლამდე ასაკის საშუალო და მსუბუქი ინტელექტუალური სფეროს დარღვევის, ასევე, ქცევითი დარღვევით გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარებისთვის დღის ცენტრის მომსახურების შეთავაზება ყოველდღიურად (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა) 6 საათის განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარებისთვის ცენტრში გატარებული მინიმალური დრო არ უნდა იყოს 3 საათზე ნაკლები; სამიზნე ჯგუფის საჭიროებების (ფსიქიკური, შემეცნებითი, ემოციური, ფიზიკური) გამოვლენა და მათ დაკმაყოფილებაზე ზრუნვა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით; ბენეფიციართა საყოფაცხოვრებო და სახელობო-პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებაზე ზრუნვა. სერვისის მიწოდების დროს ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა, რომელიც არის სტანდარტის შესაბამისად სამი კომპონენტის შემცველი.

ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის სერვისი გულისხმობს სამიზნე ჯგუფის ბავშვთა სპეციფიკურ რეაბილიტაციას, აბილიტაციას, ფიზიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ადაპტაციური შესაძლებლობების გაძლიერებასა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას, საცხოვრებლის უზრუნველყოფით (სარეაბილიტაციო კურსის გავლის პერიოდში, 10 დღის მანძილზე).

ზრდასრულების (18 წელს და ზემოთ მყოფი პირები) რეაბილიტაციის სერვისი გულისხმობს ფიზიოთერაპევტისა და ფსიქოლოგის მომსახურების შეთავაზებას. არსებული სერვისი, ასევე მოიცავს საცხოვრებლით უზრუნველყოფას (სარეაბილიტაციო კურსის გავლის პერიოდში, 10 დღის მანძილზე).

შინ მოვლის სერვისი გულისხმობს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგს, აგრეთვე პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით, მისი ძირითადი მომვლელის/მზრუნველის საექთნო და პაციენტის მოვლისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შეძენა-განვითარებაზე ზრუნვას, ამასთანავე პირველადი კვების პაკეტებითა და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფას (მოთხოვნიდან გამომდინარე ბენეფიციართა რაოდენობა გაიზარდა 35-მდე, შესაბამისად პროგრამას გამართული მუშაობისთვის ბიუჯეტში დაემატა 23000 (ოცდასამი ათასი) ლარი).

ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სერვისი გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირებას, კოგნიტური, მოტორული, კომუნიკაციური და ემოციური განვითარების ხელშეწყობას, სკოლამდელ ან ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვასა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერებასა და მიტოვების პრევენციას. ასევე, მათი მშობლების განათლებასა და გაძლიერებას ბავშვის აღზრდა-განვითარების სფეროში.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 6 თვის (10.01.2022-დან 30.06.2022-მდე) შესყიდვების ანგარიში

№	ხელშეკრულების საგანი	შესყიდვის საშუალება	ტენდერის/CMR ნომერი	ხელშეკრულების ნომერი	სახელშეკრულებო თანხა	შემსრულებელი	ხელშეკრულების ვადები	დაფინანსების წყარო
1	ფარის ტერიტორიულ ერთეულში სპორტსკოლის ჭერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	ელექტრონული ტენდერი	NAT210022434	1	25 900	ი/მ „ემა მიქავა“	10.01.2022-10.03.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
2	სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურება	კონსოლიდირებული ტენდერი	CON210000851	2	595 021	შპს „მესტიის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტი“	12.01.2022- 31.12.2022	სახელმწიფო ბიუჯეტი
3	საფოსტო-საკურიერო მომსახურების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220008206	3	4 500	საქართველოს ფოსტა	17.01.2022- 30.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
4	ბეჩოს ტერიტორიულ ერთეულში ამბულატორიისა და საბავშვო ბაღის ოთახების რემონტის სამუშაოების შესყიდვა	ელექტრონული ტენდერი	NAT210022509	4	64 000	ი/მ „ვახტანგ ლონდარიძე“	18.01.2022- 20.04.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
5	პრემიუმის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220008212	5	9 300	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	18.01.2022- 01.03.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
6	დიზელის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220008213	6	6 180	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	18.01.2022- 01.03.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
7	ლეპტოპის შეკეთების მომსახურეობა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220026722	7	120	ი/მ „შოთა ხაზალაშვილი“	18.01.2022- 25.03.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
8	კურორტ თეთნულდზე „ფრერაიდის" (freeride) ლის ფარგლებში ფრერაიდის მსოფლიო ტურის საკვალიფიკაციო (FWQ) ეტაპების გამართვასთან დაკავშირებით ღონისძიების სარეკლამო მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	CMR220027832	8	5 000	ი/მ „მარიამ გულედანი“	26.01.2022- 30.03.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
9	სტუმრების კვებით მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	CMR220031562	9	1 140	ი/მ „მუხრან ქარდავა“	01.02.2022- 30.04.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
10	საინფორმაციო-სარეკლამო ხასიათის ფოტო და წერილობითი მასალების შპს „მეურვე"-ს საინფორმაციო-ანალიტიკურ ვებგვერდზე მრავალჯერადი განთავსება	გამარტივებული შესყიდვა	CMR220031636	10	2 400	შპს „მეურვე“	01.02.2022- 31.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
11	ავტომანქანის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა (SMP220031641)	CMR220031641	11	930	შპს „თეგეტა რითეილი“	02.02.2022- 30.03.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
12	მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წელში დაწყებული, მიმდინარე და მრავალწლიანი სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა (SMP220000333)	CMR220031652	12	103 575	შპს „ჯეოექსპერტი“	03.02.2022- 30.03.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
13	საჩუქრებისა და ჯილდოების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220031631	13	1 000	ი/მ „ქრისტინე ჯორბენაძე“	03.02.2022- 30.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
14	სტუმრების დაბინავება და კვებით მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	CMR220031069	14	15 000	შპს „სეტი +“	03.02.2022- 31.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
15	ფერწერული ტილოების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220027752	15	1 800	ი/მ „ჯიმშერ გუჯეჯიანი“	04.02.2022- 30.04.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
16	ავტომანქანის შეკეთება და ტექნიკური მომსახურბა	გამარტივებული შესყიდვა (SMP220000796)	CMR220045438	16	2 500	შპს „თეგეტა რითეილი“	04.02.2022- 30.03.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
17	სტუმრების კვებით მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	CMR220030365	17	1 600	ი/მ „თამაზ ჯაფარიძე“	04.02.2022- 30.03.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
18	პრემიუმის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220031049	18	15 000	შპს „რეფილ პეტროლიუმ ჯორჯია“	08.02.2022- 20.03.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
19	პრემიუმის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220030402	19	9 300	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	08.02.2022- 20.03.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
20	გზების მოვლა-შენახვა	ელექტრონული ტენდერი	NAT210026023	20	360 000	შპს „ლიდერი+“	08.02.2022-20.06.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
21	მუზეუმის მომსახურების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220039299	21	3 000	სსიპ „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“	10.02.2022-31.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
22	ჰოსტინგის მომსახურების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220032056	22	431.42	შპს „ქლაუდ ცხრა“	10.02.2022-31.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
23	სტუმრების კვებით მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	CMR220033404	23	4 560	ი/მ „მუხრან ქარდავა“	11.02.2022-30.04.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
24	საბეჭდი ქაღალდის შესყიდვა	კონსოლიდირებული ტენდერი	CON210000621	24	2 250	შპს „პენსან ჯორჯიაე	11.02.2022-30.06.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
25	სადაზღვევო მომსახურების გაწევა	კონსოლიდირებული ტენდერი	CON210000475	25	1533.04	სს „ნიუ ვიჟენ დაზღვევა“	14.02.2022-30.04.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
26	სვანური ქუდების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220035570	26	2 500	ი/მ „მადონა ყიფიანი„	22.02.2022-30.06.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
27	ლეპტოპების შეკეთების მომსახურების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220036347	27	2 000	ი/მ „შოთა ხაზალაშვილი“	23.02.2022-31.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
28	მესტიის მუნიციპალიტეტის მერიისათვის სხვადასხვა საწმენდი საშუალებების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220036352	28	4 900	ი/მ „გიორგი გუგუსიანი“	23.02.2022-30.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
29	მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220038119	29	4 900	ი/მ „მინდია გირგვლიანი“	24.02.2022-30.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
30	ღვინის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220041526	30	3 000	ი/მ „ქრისტინე მარგველანი“	04.03.2022-31.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
31	სტუმრების კვებით მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	CMR220040619	31	3 500	ი/მ „ქრისტინე ნაკანი“	04.03.2022-31.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
32	პრემიუმის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220041658	32	18 200	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	10.03.2022-30.04.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
33	პრემიუმის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220041792	33	17 500	შპს „რეფილ პეტროლიუმ ჯორჯია“	10.03.2022-30.04.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
34	დიზელის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220041717	34	11 070	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	10.03.2022-30.04.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
35	გამათბობელების, ნატურების და სხვადასხვა სახის ხელსაწყოების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220050147	35	4 000	შპს „ბუილდ“	10.03.2022-30.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
36	იდლიანის და უშგულის ტერიტორიულ ერთეულებსი კულტურულ-ისტორიული ძეგლების ინვენტარიზაციის შესყიდვა	ელექტრონული ტენდერი	NAT220003382	36	20 000	ა(ა)იპ „ახალგაზრდა მისიმიელთა ლეგიონი“	15.03.2022-30.07.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
37	ავტომობილის ტექნიკური დათვალიერების მომსახურების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220044734	37	540	სს „გრინვეი საქართველო“	17.03.2022-30.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
38	მედიკამენტების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220050138	38	9 997	შპს „ავერსი ფარმა“	23.03.2022-15.05.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
39	წვევამდელთა ტრანსპორტით მომსახურება	ელექტრონული ტენდერი	NAT220003274	39	14 000	ი|მ „გულადი გაბულდანი“	23.03.2022-31.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
40	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის ბავშვის კვებისა და მოვლის საშუალებების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220047211	40	1 000	შპს „სეტი ფარმა“	23.03.2022-31.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
41	ნამსახურების, რეზერვისტის დროებითი მოწმობების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220047222	41	480	შპს „საჩინო“	23.03.2022-10.05.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
42	ფქვილის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220050157	42	500	ი/მ „ვალერი შერვაშიძე“	29.03.2022-30.05.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
43	სასაჩუქრე ვაუჩერების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220050085	43	2 000	შპს „დვ სპორტი“	30.03.2022-20.05.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
44	სვანური ქუდებისა და საჩუქრებისა და ჯილდოების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220051259	44	3 500	ი|მ „შოთა ნიგურიანი“	31.03.2022-31.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
45	მესტიის მუნიციპალიტეტში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების წლიური აღნაგობისა და ოჯარის საფასურის დადგენის მომსახურების შესყიდვა	ელექტრონული ტენდერი	NAT220005463	45	4 600	შპს „კომპაუდი“	06.04.2022-30.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
46	პრემიუმის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220052873	46	14 600	შპს „რეფილ პეტროლიუმ ჯორჯია“	06.04.2022-30.05.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
47	დიზელის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220052875	47	11 100	შპს „რეფილ პეტროლიუმ ჯორჯია“	06.04.2022-30.05.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
48	საჩუქრების და ჯილდოების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220053812	48	2 000	ი|მ „თეა ხვისტანი“	07.04.2022-30.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
49	კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის ბავშვის კვებისა და მოვლის საშუალებების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220054438	49	200	შპს „ავერსი ფარმა“	08.04.2022-30.05.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
50	მერიის შენობისათვის ნათურების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220057048	50	3 527	შპს „ტერმინალ ვესტ თრეიდინგი (დომინო)“	14.04.2022- 30.05.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
51	პრემიუმის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220056948	51	7 900	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	15.04.2022- 30.05.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
52	დიზელის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220056950	52	8 760	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	15.04.2022- 30.05.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
53	კატრიჯების დათუმბვის მომსახურების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220060001	53	2 000	ი/მ „ბერდია წულაია“	19.04.2022- 31.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
54	წიგნის ბეჭდვა (ზემო სვანეთის ფოტო მეგზური)	ელექტრონული ტენდერი	NAT220004985	54	25 000	შპს „სეზანი“	19.04.2022- 10.07.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
55	ნაბეჭდი წიგნების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220063562	55	4 500	შპს „ეტალონი„ განათლება“	26.04.2022- 31.05.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
56	ინტელექტ-ჩემპიონატის „ეტალონი" დისტანციურ რეჟიმში ჩატარების მომსახურების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220063571	56	2 960	შპს „ეტალონი მედია“	27.04.2022-31.12.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
57	აკუმულატორის შესყიდვა	კონსოლიდირებული ტენდერი	CON210000539	57	380	შპს „თეგეტა რითეილი“	27.04.2022-30.06.2025	ადგილობრივი ბიუჯეტი
58	ავტომობილების ტექნიკური მომსახურების შესყიდვა	ელექტრონული ტენდერი	NAT220004144	58	150 000	შპს „თეგეტა მოტორსი“	29.04.2022-31.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
59	ნაკრის სკოლის შეფასების მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	CMR220063597	59	1 000	სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“	02.05.2022-30.07.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
60	დიზელის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220062570	60	8 760	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	03.05.2022- 10.06.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
61	პრემიუმის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220062571	61	19 750	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	03.05.2022-10.06.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
62	მესტიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთის ბეჭდვა	ელექტრონული ტენდერი	NAT220007620	62	7 452	შპს „კოლორ პრესი“	05.05.2022-31.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
63	მერიის შენობისათვის ავეჯის შესყიდვა	ელექტრონული ტენდერი	NAT220007218	63	9 941	შპს „ნიეე ჯგუფი“	05.05.2022-30.06.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
64	ზაფხულის საბურავების შესყიდვა	კონსოლიდირებული ტენდერი	CON220000029	64	4 020	შპს „თეგეტა რითეილი“	05.05.2022-30.11.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
65	სტუმრების დაბინავება და კვებით მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	CMR220067731	65	8 000	ი/მ „მზიური ჯაფარიძე“	11.06.2022-30.10.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
66	სახურავების შესყიდვა	ელექტრონული ტენდერი	NAT220006413	66	293 250	შპს „ოთობმს“	11.05.2022-30.06.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
67	პრემიუმის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220066326	67	7 400	შპს „რეფილ პეტროლიუმ ჯორჯია“	13.05.2022- 30.06.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
68	დიზელის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220066327	68	8 200	შპს „რეფილ პეტროლიუმ ჯორჯია“	13.05.2022- 30.06.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
69	ფქვილის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220067747	69	3 500	ი/მ „ლიანა გუჯეჯიანი“	13.05.2022- 31.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
70	სვანური ქუდების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220067750	70	1 000	ი/მ „მადონა ყიფიანი“	16.05.2022- 30.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
71	ბეჩოს ტერიტორიულ ერთეულში ინგლისურის სწავლების მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	CMR220074658	71	4 950	ა(ა)იპ ევროპის განათლებისა და კულტურის ცენტრი	17.05.2022- 30.08.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
	სუვენირების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220071405	73	352	შპს „იმმდ ნეჩურ ტურიზმ ჰოლდინგს“	18.05.2022- 30.08.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
74	სტუმრების დაბინავება და კვებით მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	CMR220072998	74	2 600	ი/მ „თაიგული გიგანი“	20.05.2022- 30.06.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
75	2022-2023 წლების 50 000 ლარს ზემოთ მიმდინარე პროექტების საექსპერტო მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	NAT220005650	75	226 260	შპს „ჯეო ექსპერტი“	20.05.2022- 30.01.2024	ადგილობრივი ბიუჯეტი
76	ტრაქტორის ნაწილების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220075865	76	1 750	ი/მ „ლევან ლეკაშვილი“	23.05.2022- 30.06.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
77	დიზელის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220074649	77	8 760	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	02.06.2022- 10.07.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
78	პრემიუმის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220074651	78	15 480	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	02.06.2022-10.07.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
79	სტუმრების კვებით მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	CMR220076621	79	2 500	შპს „ქორ 2022“	06.06.2022-30.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
80	ყავისა და მინერალური წყლების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220076631	80	2 000	ი/მ „გურგენ ჯაფარიძე“	07.06.2022-31.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
81	ზაფხულის საბურავების შესყიდვა	კონსოლიდირებული ტენდერი	CON220000022	81	1 780	შპს „თეგეტა რითეილი“	09.06.2022-30.11.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
82	პრემიუმის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220078133	82	15 000	შპს „რეფილ პეტროლიუმ ჯორჯია“	09.06.2022-30.07.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
83	დიზელის შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220078134	83	12 450	შპს „რეფილ პეტროლიუმ ჯორჯია“	09.06.2022-30.07.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
84	იფარის ტერიტორიულ ერთეულში საჯარო სკოლის სადემონტაჟო სამუშაოების შესყიდვა	ელექტრონული ტენდერი	NAT220007224	84	39 998	შპს „დავთი“	10.06.2022-15.08.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
85	ავტომობილის ტექნიკური დათვალიერების მომსახურების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220078508	85	3 000	შპს „კავკასუს მოტორსი“	10.06.2022- 31.01.2023	ადგილობრივი ბიუჯეტი
86	სამგზავრო ბილეთების შესყიდვა თბილისი-სტამბული-რომი, სტამბული-თბილისის მიმართულებით (გლობალურ ახალგაზრდული სამიტი)	გამარტივებული შესყიდვა	CMR220079484	86	4 384	შპს „თრეველ თიმ“	13.06.2022 30.07.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
87	მთარგმნელობითი მომსახურების შესყიდვა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220080981	87	495	შპს „თი პარტნერი“	16.06.2022 30.07.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
88	ინგლისური ენის კურსებისათვის მოწვეული პედაგოგების სასტუმროს მომსახურება	გამარტივებული შესყიდვა	CMR220085380	88	1 200	ი/მ „არკადი კვიციანი“	23.06.2022 30.08.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
89	პროექტ დიდგორობისათვის ალაფურშეტის უზრუნველყოფა	გამარტივებული შესყიდვა	CMR220085758	89	1 395	ი/მ „მუხრან ქარდავა„	28.06.2022 30.07.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი
90	შემოსაღობი მასალის შეძენა-შემოტანა	ელექტრონული ტენდერი	NAT220010575	90	41 364	შპს „მილი„	30.06.2022 30.08.2022	ადგილობრივი ბიუჯეტი

„ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი 2022“

13-14 დეკემბერს რუსთაველის თეატრში „ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის 2022“-ის დასკვნითი კონცერტი გაიმართა. ღონისძიება მიეძღვნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია II-ის დაბადებიდან 90 და აღსაყდრებიდან 45 წლისთავს.

საღამოს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი ესწრებოდა. მინისტრმა მადლობა გადაუხადა ფესტივალის ორგანიზატორებს შთამბეჭდავი და საინტერესო საღამოების მოწყობისთვის, მონაწილეებს კი ნაყოფიერი საქმიანობა უსურვა. თეა წულუკიანის თქმით ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი, ნაცვლად ხუთი

წლისა, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ჩატარდება, კულტურის სამინისტრო კი მომავალშიც ამ პროექტის მხარდამჭერი იქნება.

ფესტივალში მონაწილეობდნენ ქედას, მესტიის, ზუგდიდის, ამბროლაურის, ქუთაისის, თერჯოლის და თბილისის ფოლკლორული ანსამბლები.

კონცერტის ბოლოს გაიმართა დაჯილდოების ცერემონია. მონაწილეებს სახელობითი მედლები და სიგელები გადასცეს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა, გიორგი დონაძემ და დირექტორის მოადგილემ გიორგი გაბუნიამ.

მესტიის მუნიციპალიტეტიდან საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტი-

ვალი 2022„-ის ლაურეატები გახდნენ:

ზეპირსიტყვიერება:
გოგუცა ხერგიანი;
ლელა ჩხეტიანი;
სვეტლანა მჭედლიანი.
მუსიკა:
მესტიის ფოლკლორული ანსამბლი „რიჰო“;
ფოკლორული ანსამბლი „ლატალი“;
ფოლკლორული ანსამბლი „ცხარვაშ“;
ფილფანების საოჯახო ანსამბლი;
ფოლკლორული ანსამბლი „ნენსკრა“.
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება:
შალვა გულედანი;
ტელმან გიგანი;
გიორგი ფილფანი.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და ანზორ

ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინიციატივით, მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ფესტივალის ჟიური საქართველოს ყველა რეგიონს ესტუმრა და 800 მონაწილიდან საუკეთესოები შეარჩია.

საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის მიზანია ქართული, ასევე საქართველოში

მცხოვრები ეთნოსის, ფოლკლორის დარგებისა და ჟანრების ნიმუშთა მოძიება-გამომზეურება და დღეს ქვეყანაში არსებული ცოცხალი ფოლკლორული ყოფის რეალური სურათის წარმოჩენა, ასევე ფოლკლორის სიცოცხლისუნარიანობაზე ზრუნვა, შესაბამისი პირობებისა და გარემოს შექმნა, საქართველოს თითოეული კუთხისა და სოფელში ხალხური შემოქმედების დარგების აღორძინება.

იაპონიის საელჩოს საგრანტო პროგრამა



6 დეკემბერს, იაპონიის საელჩოს ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის ფარგლებში, ხელი მოეწერა პროექტს, რომელიც მესტიის მუნიციპალიტეტისთვის პირველი საზოგადოებრივი ავტობუსის შეძენას გულისხმობს.

იაპონელი ხალხის მოცემული დაფინანსება შესაძლებელს გახდის დაბა მესტიაში და ლენჯერის ადმინისტრაციულ ერთეულში 2023 წლიდან ამოქმედდეს პირველი საზოგადოებრივი ავტობუსი, რომელიც მოემსახურება ადგილობრივ მოსახლეობას და მესტიის სტუმრებს. იაპონიის საელჩოს გრანტის მოცულობა 72 600 აშშ დოლარია. პროექტს თანადაფინანსებას გაუწევს მესტიის მუნიციპალიტეტის მერია.

საგრანტო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს იაპონიის ელჩმა საქართველოში - ბატონმა, იმამურა აკირამ და მესტიის მუნიციპალიტეტის მერმა - ბატონმა, კაპიტონ ჟორჟოლიანმა.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერია გულითადად ულოცავს უხუცეს თანამშრომელს გულნარა ქალდანს დაბადებიდან 80 წლის იუბილეს. ქალბატონი გულნარა 55 წელია პირნათლად ემსახურება მესტიის მუნიციპალიტეტს.

დიდია მისი წვლილი სვანეთის განვითარების საქმეში. იგი 1967 წლიდან მუშაობს მესტიის მუნიციპალიტეტში წამყვან თანამდებობებზე. ის ასევე პარალელურად ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ქალბატონი გულნარა ყოველთვის გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პატრიოტიზმით, პრინციპილობით, სამართლიანობით, ერთგულებით და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით.

მას ნაყოფიერი მუშაობისათვის მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები და ქების სიგელები.

ვუსურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და მხნეობას.

სასკოლო სპორტული ოლიმპიადა

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით და ა(ა)იპ „მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის„ დახმარებით, სასკოლო სპორტული ოლიმპიადა გაიმართა.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები ერთმანეთს მინი ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში და კროსში ეჯიბრებოდნენ.

გამოვლინდნენ გამარჯვებულები და საპრიზო ადგილებში შემდეგნაირად გადანაწილდა:

მინი ფეხბურთი, ვაჟები:
I ადგილი - ლატალი.
მინი ფეხბურთი, გოგონები:
I ადგილი - ცხუმარი.
მაგიდის ჩოგბურთი, ვაჟები:
I - ცხუმარი.
მაგიდის ჩოგბურთი, გოგონები:
I ადგილი - ცხუმარი.
ფრენბურთი, ვაჟები:
I ადგილი - ნაკრა.
ფრენბურთი, გოგონები:
I ადგილი - ჭუბერი.
კროსი, ვაჟები:
I ადგილი - ცხუმარი.
კროსი, გოგონები:
I ადგილი - ცხუმარი.
კალათბურთი, ვაჟები:
I ადგილი - №3 საჯარო სკოლა.

შეგახსენებთ, რომ პროგრამას „საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“ ახორციელებს საქართველოს ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია. აღნიშნულ პროგრამაში ჩართულია საქართველოს მასშტაბით მრავალი მუნიციპალიტეტი.

ოლიმპიადის თამაში შედგება 4 ეტაპისგან: მუნიციპალური, რეგიონული, ზონალური და დასკვნითი თამაშები. ოლიმპიადაში ჩართულია სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საჯარო თუ კერძო სკოლები სხვადსხვა ადმინისტრაციული ერთეულებიდან.

პირველ ადგილზე გასული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ რეგიონულ თამაშებში, რომელიც გაიმართება 2023 წლის თებერვლის თვეში.

საახალწლო ზეიმი

მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, დეკემბრის ბოლო რიცხვების განმავლობაში საახალწლო განწყობა სუფევდა. საგანგებოდ მორთულ დარბაზებში სხვადასხვა ასაკობრივმა ჯგუფმა საახალწლო ზეიმები გამართეს.

პატარა აღსაზრდელები სახალისო მუსიკალური ნომრებით და ლექსებით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე.

ღონისძიების დასასრულს ბავშვებს დამდეგი ახალი წელი თოვლის ბაბუამ მიულოცა და საახალწლო საჩუქრები გადასცა.

სახალწლო ღონისძიებას ესწრებოდნენ მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები, ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა მშობლები და პედაგოგები.

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის მერია მისამართი: დ. მესტია სეტის მოედანი №1	გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილებამ: თამარ გოშთელიანი, მაია ფილფანი, ლაშა ჯაფარიძე და ხატია წიკლაური.	გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორი“-ს კომპიუტერულ ცენტრში	ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 25 თამარ გოშთელიანი 595 08 95 30 ხატია წიკლაური ელ. ფოსტა: meriasazogadoeba@gmail.com